შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6 (10.014)

5-12 მარტი, 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ჯერ ქალებს გვესროლეთ და მერე...“

გაზაფხულია. ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე უცნაური და სევდიანი გაზაფხული. მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენაა მიმართული, იქითკენ, სადაც ამ საუკუნის ყველაზე საშინელი ომია, სადაც ყოველწამიერად უამრავი ადამიანი კვდება. უმოწყალოდ იხოცებიან უდანაშაულო ქალები და ბავშვები. საქართველოში 3 მარტს დედის დღე აღინიშნა. ძალიან ულიმლამოდ. სიხარულიანი სადღეგრძელოების, ზეიმებისა და, ასე განსაჯეთ, ხმაურიანი სტატუსების გარეშეც. ყველას ცხელ წერტილში მყოფი ადამიანების ბედი უფრო ანაღვლებდა, ვიდრე გაზაფხულის მოსვლით, ანდა ქალთა დღესასწაულებით გამოწვეული სიხარული...

კორონავირუსით გადაღლილი მსოფლიო ნამდვილად ვეღარ წარმოიდგენდა, თუ ახალი განსაცდელის წინაშე დადგებოდა, უფრო დიდი საფრთხე დაემუქრებოდა ევრაზიის კონტინენტს.

მეორე მსოფლიო ომმა, როცა მსოფლიოს ახალი წესრიგის შექმნა გერმანიამ და ჰიტლერმა მოისურვეს, უამრავი მსხვერპლი მოიტანა. ის, ვინც დაბომბვებსა და მტრის იარაღს გადაურჩა, საკონცენტრაციო ბანაკებში სასტიკი წამებით აღმოხდა სული. უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. აღარავის ეგონა, კინოფილმებში ნანახი კადრები ოდესმე რეალობად თუ იქცეოდა. დღეს, პირდაპირ ეთერში ვუყურებთ უკრაინის ქალაქების დაბომბვის, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტის კადრებს და თავი რომელიღაც საშინელებათა ფილმში გვგონია, „ტრიდე ფორმატში“, როცა შენც უშუალო მონაწილე ხარ ამ ამბების... მაგრამ, სამწუხაროდ, სათვალის მოხსნა პრობლემას ვერ ჭრის. რუსეთმა მთელ მსოფლიოს ვარდისფერი სათვალე უცბად მოხსნა და რეალური სახე დაანახა, თანამედროვე სვასტიკითა და ახალი გეგმით, რომელიც პუტინის ოცნებაა- ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის მთავარი მამოძრავებელიც თავად უნდა იყოს. ერთია ოღონდ- ომი იმაზე დიდხანს გრძელდება, ვიდრე მის გეგმებში იყო. 96 საათში ვერ აიღო კიევი, მიუხედავად იმისა, რომ ძალთა თანაფარდობა საგრძნობლად განსხვავებული იყო, იმდენად, რომ უცხოურმა პრესამ ის დავითისა და გოლიათის ბრძოლას შეადარა...

ათი დღეა, გრძელდება ბრძოლა დავითსა და გოლიათს შორის...

ამ ომში ქალებს განსაკუთრებული როლი აქვთ. უკრაინელი ქალები თმებში ყვავილებით და ხელში შაშხანებით დადგნენ ქვეყნის სადარაჯოზე. ისინი არიან ყველგან: ბრძოლის ველზე, ზურგში, მამაკაცების გვერდით, უიარაღონი, შიშველი ხელებით უშიშრად რომ უდგებიან წინ ტანკებს და თავიანთ ქალაქებში არ უშვებენ...ისინი არიან სარდაფებში, თავშესაფრებში და ახალ სიცოცხლეებს ჩუქნიან სამშობლოს, ისინი არიან დედები, ბრძოლის ველზე მიმავალ შვილებს რომ ლოცავენ და აგულიანებენ.

ომია დღეს, სისხლისმღვრელი ომი, მაგრამ გაზაფხულზე ქალები მაინც სამშვენისებზე ფიქრობენ, სიყვარულზე ფიქრობენ, თუმცა...

„ქალები კი ომშიაც ყვავილებზე ფიქრობენ და მათ შაშხანაზე ამაგრებენ. ზოგი ფეხმძიმე იბრძვის, რომ შვილი თავისუფალ ქვეყანაში გააჩინოს, ზოგს კი კამფეტები უყვარს და თან მიაქვს. ასეთია ქალური ბუნება, ამოუცნობი, სათუთი და მოსიყვარულე. ომი კი დიდი იმედგაცრუება და ოცნებების ნამსხვრევებად ქცევაა. იქ ჩიტები არ არიან, არც ყვავილები... იქ ყველაფერი შავია, მხოლოდ სისხლსა აქვს ფერი, სისხლია მარტო წითელი“.

***

კარგად მახსოვს, როცა საქართველო აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კარგავდა, ქართველმა ქალებმა გადაწყვიტეს, წინ აღდგომოდნენ სისხლისღვრას და ამისთვის სპეციალური მოძრაობაც დააფუძნეს. მათი მთავარი მესიჯი ასე ჟღერდა: „ჯერ ქალებს გვესროლეთ და მერე...“

ეს სტრიქონები ნაზი კილასონიას ლექსიდანაა. სამწუხაროდ, მაშინ მათმა მოწოდებებმა შედეგი ვერ გამოიღო. რუსეთის მიერ წახალისებულმა სეპარატისტებმა არც ქალები დაინდეს და არც ომზე თქვეს უარი. საქართველომ თავისი ისტორიული ტერიტორიები დაკარგა, უდიდესი მსხვერპლითა და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული ადამიანებით...

საქართველო გმირების ქვეყანაა. აქ ილიამდეც და ილიას შემდეგაც სამშობლოსათვის კვდებოდნენ, სარწმუნოებისთვის და მშობლიური ენისთვის კვდებოდნენ, აქ დედები შვილებს საქართველოს სიყვარულს ასწავლიდნენ და გმირობის პირად მაგალითებს აჩვენებდნენ... ამიტომაც არსებობს დღემდე საქართველო, ამიტომაც გვაქვს დამწერლობა, ამიტომაც გვაქვს ისტორია... შესაძლოა, ბევრჯერ გადაწერილი და საუკუნეთა განმავლობაში დამახინჯებულიც, მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის ისტორია... ომების და გმირების ისტორია, მოღალატეების ისტორიაც...ჩვენში ყველა ამბავი, საბოლოოდ, მაინც ზღაპარში არსებული ამბების დარად, კეთილად მთავრდებოდა. ამიტომაც არ დაუხევია უკან ქართველს საბჭოთა დიქტატურის დროსაც-1978 წელს, როცა მშობლიური ენის ხელყოფა და მისი რუსულით ჩანაცვლება სცადეს, ახალგაზრდები უშიშრად აღუდგნენ რუსეთის ამ მისწრაფებას და საპროტესტო აქციები დაუპირისპირეს. მაშინ ქართული ენა გადარჩა. გადარჩა ჩვენი ისტორიაც და მასთან ერთად საქართველოც, როგორც ქვეყანა.

დღეს ასეთივე ვითარებაა უკრაინაში.

სამყარო ბოროტისა და სიკეთის ბრძოლაა, გოლიათისა და დავითის ბრძოლაც, სადაც უამრავი განსაცდელის შემდეგ კეთილი იმარჯვებს!

იმედი გვაქვს, სიკეთე კიდევ ერთხელ სძლევს ბოროტს და გაიმარჯვებს ის, ვინც თავის ქვეყანას, თავის ოჯახს, თავის შვილებს იცავს!

***

გაზაფხულია, ყველაზე სევდიანი გაზაფხული, რადგან ომი ყველაფერ ადამიანურს კლავს და ანადგურებს, მათ შორის სილამაზესაც და სიყვარულსაც.

„ახალგაზრდები სიყვარულზე ოცნებობდნენ, მათ ოჯახის შექმნა და შვილების ყოლა სურდათ, ისინი კი ომში იხოცებოდნენ. ქალის ბუნება სამხედრო წესრიგს ეწინააღმდეგება, ამიტომაც ომს არა აქვს ქალის სახე“.

გაზაფხულს და ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ ყველა ქალბატონს. აღარასოდეს ყოფილიყოს გაზაფხული ასეთი მრუმე და სევდიანი.

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასაცემად

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.	ოკარის ვადა (წელი)	ქირის საწყისი წლიური საფასური (ლარი)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბოჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფ.ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.01.42.455	3 779 350	10	15 388	10%	5%	100
2	სოფ.ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.01.42.143	700 000	10	2 842	10%	5%	100
3	სოფ.ზემო მაჩხაანის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.01.42.144	2 187 703	10	8851	10%	5%	100
4	სოფ.არბოშიკის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.03.39.003.105	3 100 000	10	12 586	10%	5%	100
5	სოფ.არბოშიკის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.03.39.003.056	2 910 000	10	11 815	10%	5%	100
6	სოფ.გამარჯვების მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.28.31.003	423 999	10	1 705	10%	5%	100
7	სოფ.ზემო ქედის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.54.31.004	1 491 284	10	6 050	10%	5%	100
8	სოფ.ქვემო ქედის მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.11.37.006	170 000	10	690	10%	5%	100
9	სოფელ არხილოსკალოს მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.64.31.001	375 002	10	1 523	10%	5%	100
10	ქ.დედოფლისწყაროს (წიახურა) მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.08.45.006	1 080 000	10	4 385	10%	5%	100
11	ქ.დედოფლისწყაროს (კოწახურა) მიწათსარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა(საძოვარი)	52.15.31.004	2 850 000	10	11 571	10%	5%	100
12	ქ.დედოფლისწყარო	არასაცხოვრებელი ფართი	52.08.34.091	24	5	1 200	10%	5%	100

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბოჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი ზემო მაჩხაანი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	105,6კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 86,91კვ.მ.	52.01.33.007	6 000	10%	5%	100
2	სოფელი არბოშიკი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	104,00კვ.მ. მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 50,55კვ.მ.	52.03.31.032.007	1 400	10%	5%	100
3	ქალაქი დედოფლისწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	310,00 კვ.მ.	52.08.31.151	1200	10%	5%	100
4	ქალაქი დედოფლისწყარო	არასაცხოვრებელი ფართი	147,40	52.08.521.01.500	14 740	10%	5%	100
5	ქალაქი დედოფლისწყარო	N1 შენობა-ნაგებობის მეორე სართული	129,6 კვ.მ. (N1 შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ფართი)	52.08.35.255	30 000	10%	5%	100
6	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1024,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი188,68კვ.მ.	52.12.32.012	20000	10%	5%	100
7	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	2284,00კვ.მ. მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი493,94კვ.მ.	52.12.32.011	26000	10%	5%	100
8	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2	3214,00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 309,33კვ.მ., N2-39,06კვ.მ.	52.12.32.013	20000	10%	5%	100
9	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	1823,00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 292,18კვ.მ.	52.12.32.014	12000	10%	5%	100
10	სოფელი სამთაწყარო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	716.00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 424.00კვ.მ.	52.12.32.016	23 000	10%	5%	100
11	სოფელი ქვემო ქედი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1	2095.00კვ.მ.მიწის ნაკვეთი, N1 შენობა-ნაგებობის განაშენიანების ფართი 362.00კვ.მ.	52.11.32.124	4 490	10%	5%	100

 აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ - კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 16 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი - 300 533 212 (შენობა-ნაგებობების იჯარა);

კოდი - 300 533 047 (მიწის ნაკვეთის იჯარიდან მიღებული შემოსავალი);

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40 სააუქციონო კომისია;

* * *

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი - 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კოდი - 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40 სააუქციონო კომისია;

საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს ხელი მოაწერა

„სამ მარტს ისტორიული დღეა საქართველოსთვის - ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

საქართველო არის ევროპული სახელმწიფო; ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის მიეკუთვნებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეს და დღესაც თავისი ღირებული წვლილი შეაქვს მის დაცვასა და განვითარებაში. „ევროპელობა“ სხვა არაფერია თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ევროპას. თვით საქართველოს ისტორია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, არის დასტური იმისა, რომ ეს ფასეულობები ქართველი ადამიანის ბუნებაშია და მაშასადამე, განუყოფელია.

ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით და დღევანდელი დღე ჩვენი ძალისხმევის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

დღეს საქართველო, ისე როგორც არასდროს, ახლოს არის ევროკავშირთან.

2014 წელს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ხელი მოვაწერე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რათა ნარმატებით დაგვეწყო სვლა ევროინტეგრაციის გზაზე და ჩაგვეყარა მტკიცე და მყარი საფუძველი ჩვენი ქვეყნის საბოლოო ევროპეიზაციისთვის.

საამაყოა, რომ 2014 წლიდან, ჩვენი ხელისუფლების თანმიმდევრულობითა და საზოგადოების მხარდაჭერით საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის ევროკავშირთან სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების კუთხით.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კარგი მმართველობა უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ვამკვიდრებთ ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირის/შენგენის სივრცეში, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა ჩვენს საზოგადოებებს და ხალხებს შორის მჭიდრო კავშირების დასამყარებლად.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზარში ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას მივაღწიოთ. ქვეყნის მოდერნიზაცია, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მთელ რიგ სექტორებში შეუქცევადი გახდა.

შეუქცევადი სწრაფვა ევროპული დემოკრატიის მშენებლობისა და შესაბამისად ევროკავშირის წევრობისკენ საქართველოს გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მჯერა ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენ ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს.

ზოგჯერ ევროპაში უჩნდებათ კითხვა: არის თუ არა საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა. თორემ, ამ კითხვაზე პასუხი საქართველოში ყველასთვის ცხადია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

ფრანგი მოაზროვნის, პოლ ვალერის, დეფინიციის მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება განიხილებოდეს ევროპული სივრცის წევრად, მან სამი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა: 1. ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, 2. ქრისტიანული მრწამსი და 3. დემოკრატიული ტრადიცია. ამ კრიტერიუმების მიხედვით, საქართველო, უდაოდ, ევროპული სივრცის, ევროპული ოჯახის წევრია.

საკუთარი ათასწლოვანი კულტურითა და ისტორიით ამაყი ქართველი ერი მუდამ იყო ევროპაზე ორიენტირებული, მისი ღირებულებების ერთგული. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა შექმნა ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უაღრესად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო, რომლის სულისკვეთება და კონსტიტუცია ევროპის დღევანდელ კრიტერიუმებსაც კი ზედმიწევნით შეესაბამებოდა.

1991 წელს აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც ამავე კონსტიტუციას, ევროპულ ღირებულებებს დაეფუძნა და მთავარ გეზად ევროპული ორიენტაცია განსაზღვრა.

ევროპული მომავალი არის საქართველოს ყველა მთავრობისათვის ქართველი ერის მიერ განსაზღვრული პროგრამაც და უალტერნატივო სამოქმედო გეგმაც.

დასასრულს, მინდა მოვიშველიო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ევროპის კონსტიტუციის ავტორის, მიხეილ მუსხელიშვილის (მიშელ მუსხელის) სიტყვები,



საქართველოს პრემიერ-მინისტრს

მის აღმატებულობას საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს,
ევროკავშირის სახელით თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტს,
ბატონ ემანუელ მაკრონს

ასევე:
მის აღმატებულობას ევროპული სახელის პრეზიდენტს,
ბატონ შარლ მიშელს

მის აღმატებულობას ევროკომისიის პრეზიდენტს,
ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს

მის აღმატებულობას ევროპარლამენტის თავმჯდომარეს,
ქალბატონ რობერტა მეცოლას

თქვენო აღმატებულობავ,

საქართველოს, როგორც ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლით განმტკიცებულ ღირებულებებს და ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას, აქვს პატივი, წინამდებარე წერილით წარმოადგინოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად.

განაცხადს თან ერთვის საქართველოს განცხადება ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

პატივისცემით,

ირაკლი ღარიბაშვილი

თბილისი, 3 მარტი, 2022 წელი

ადამიანის, რომელმაც გაუსწრო დროს და ერთიანი ევროპის იდეით შეპყრობილმა იწინასწარმეტყველა კიდეც ევროგაერთიანება: „საქართველომ იცის, რომ ევროპას ეკუთვნის. ახლა ევროპამ უნდა გააკეთოს დასკვნები. საჭირო, საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევროპაში და დასავლურმა ერებმა მიიღონ საქართველო თავიანთ ოჯახში“.

ეს სიტყვები, ისე როგორც არასდროს, პასუხობს დღევანდელ რეალობას. იმედი გვაქვს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს საფუძველი ეყრება ისტორიულ პროცესს, რომელიც საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობამდე მიგვიყვანს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“

სტუმრად გმირის დედასთან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სოფელ სამრეკლოში მერის წარმომადგენელთან, ოთარ ნასრაშვილთან ერთად დედის დღე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გიორგი აბიათარის დედას მიულოცა და სიმბოლურად ყვავილები გადასცა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ელისაბედ აბიათარს გმირი შვილის აღზრდისათვის მადლობა გადაუხადა. ***„საქართველოს თავისუფლება გიორგი აბიათარის, გოჩა ილურიძისა და იმ ახალგაზრდების დამსახურებაა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და ერთიანობას შესწირეს. მადლობა გიორგის აღზრდისთვის. ასევე მადლობას ვუხდი ყველა გულანთებული პატრიოტის მშობელს”*** - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო გილოცავთ დედის დღეს. ჯანმრთელობასა და ბედნიერ დედობას გისურვებთ.

დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო.

*პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

*დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

*საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.



*საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

*საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

*დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

*თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

*პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05 დაკავშირება შეუძლიათ.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

საქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

კახეთის მოსახლეობას შეუძლია მიმართოს სააგენტოს კახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს.

ცენტრის უფროსი: ჯემალ ბაღათრიშვილი;
მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41
ტელ: (0350) 27 03 10; 27 03 11; 27 03 14.
ცხელი ხაზი: 1505
ელ. ფოსტა: info@ssa.gov.ge

მოსახლეობის რაოდენობა - 318,900
პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 70,809
სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 14,667
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა -57,047

დედოფლისწყაროს მოსახლეობას შეუძლია მიმართოს სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონული განყოფილებას, განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: თეა ბენაშვილი;
მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44;
ტელ: (0 356) 22 25 20;
რაიონის სტატისტიკური მონაცემები:
მოსახლეობის რაოდენობა - 21,100
პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 5,185
სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა - 832
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა -3,954

რა არის SWIFT?

Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication (SWIFT) ბელგიაში 1973 წელს დაარსდა და ის მსოფლიოს მასშტაბით 11 000-მდე საფინანსო ინსტიტუტს, ბანკს, საბროკეროს და ორგანიზაციას აერთიანებს. SWIFT-ის ძირითადი დანიშნულება ბანკთაშორისი კომუნიკაციის უზრუნველყოფაა, მას მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო იყენებს და მისი საშუალებით ყოველდღიურად 40 მილიონზე მეტი ტრანზაქცია ხორციელდება.

ამჟამად SWIFT-ის პირდაპირი ალტერნატივა არ არსებობს, მისი წინამორბედი - TELEX კი აწ უკვე მოძველებულ ტელეგრაფულ ტექნოლოგიაზე იყო დაფუძნებული, რომელიც დაბალი სიჩქარით, შეზღუდული შესაძლებლობებით და უსაფრთხოების სისტემების არქონით გამოირჩეოდა, თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო ტრანზაქციების TELEX-ის საშუალებით განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

SWIFT ყოველდღიურად აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობასა და გადარიცხვებში, რაც მას გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილად აქცევს. სახელმწიფოს SWIFT-ის სისტემიდან გაძევება, ფაქტობრივად, მის გლობალური ეკონომიკიდან მოკვეთას გულისხმობს, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, თუ რამდენად მჭიდროდაა ინტეგრირებული აღნიშნული სახელმწიფო საერთაშორისო ვაჭრობაში, რამდენად დიდია მისი ეკონომიკური შესაძლებლობები და რამდენადაა მსოფლიო თავად მასზე დამოკიდებული.

რა გავლენა ექნება SWIFT-დან გარიცხვას რუსეთის ეკონომიკაზე?

მოკლევადიან პერსპექტივაში, SWIFT-დან რუსეთის გარიცხვას მის ეკონომიკასა და საფინანსო ბაზარზე უაღრესად ნეგატიური გავლენა ექნება. სავარაუდოდ, ეროვნული ვალუტა, რუბლი რეკორდულად გაუფასურდება, რუსეთის საფონდო ბირჟაზე კომპანიების აქციების ფასები მკვეთრად დაეცემა, რუსი მილიარდერების, ოლიგარქების, პოლიტიკოსებისა და გავლენიანი პირების ქონება კი მოკლე პერიოდში არნახული ტემპით შემცირდება.

რაც შეეხება გავლენას რუსეთის ეკონომიკაზე, საერთაშორისო საფინანსო სისტემიდან მოწყვეტა პრაქტიკულად შეუძლებელს გახდის ფულადი გზავნილების განხორციელებას, მნიშვნელოვნად გართულება საგარეო ვაჭრობა, რადგან რუსეთი ექსპორტ-იმპორტის განხორციელებისათვის საჭირო სისტემის მიღმა აღმოჩნდება.

რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ალექსეი კუდრინის ვარაუდით, რუსეთის SWIFT-დან გაძევება ქვეყნის ეკონომიკის 5%-ით შემცირებას გამოიწვევს, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს პანდემიურ პერიოდში რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შემცირების მაჩვენებელსაც კი.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს აშშ-მ და ევროკავშირმა SWIFT-ის სისტემიდან გააძევეს ირანული ბანკები, თუმცა ამ ქმედებას არ მოჰყოლია ისეთი დამანგრეველი შედეგები, როგორსაც ექსპერტები რუსეთთან მიმართებით ვარაუდობენ, რაც ირანსა და რუსეთს შორის არსებული განსხვავებებით აიხსნება. პირველ რიგში, ირანი იმდენად არ არის ინტეგრირებული საერთაშორისო ეკონომიკასა და გლობალურ ვაჭრობაში, რამდენადაც რუსეთი, შესაბამისად, მასზე SWIFT-დან მოწყვეტით მიყენებული ზარალი გაცილებით ნაკლებია, რაც რუსეთის შემთხვევაში შეიძლება ვიხილოთ. გარდა ამისა, 2012 წელს ირანის საბანკო სექტორზე უკვე იყო დაწესებული სანქციების უდიდესი ნაწილი. ამ მოცემულობების გათვალისწინებით, ირანის შემთხვევაში SWIFT-დან გარიცხვამ ვერ მოგვცა ის შედეგი, რომელსაც შეიძლება "ბირთვული იარაღი" ვუწოდოთ.

გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთს და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს მოუწევთ SWIFT-ის ალტერნატივის შექმნა, რადგან საგადასახადო სისტემის გარეშე მათი ეკონომიკური ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელი იქნება, რუსეთის საერთაშორისო ვაჭრობიდან სრული მოწყვეტა კი არარეალისტურია, ამას ევროკავშირის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მაჩვენებელიც ცხადყოფს.

საგულისხმოა, რომ 2014 წლიდან რუსეთი აქტიურად მუშაობს SWIFT-ის ალტერნატივის, SPFS-ის შექმნასა და განვითარებაზე. ამჟამად SPFS-ს გარკვეული ტექნიკური შეზღუდვები აქვს და შესაძლებლობებით საგრძნობლად ჩამოუვარდება SWIFT-ის სისტემას, თუმცა არსებული ხარვეზების გამოსწორება და SPFS-ის დახვეწა ნამდვილად არ არის შეუძლებელია და, სავარაუდოა, რომ SWIFT-დან გარიცხვის შემთხვევაში, რუსეთი სწორედ ამ სისტემაზე გადაერთოს, რომელიც ამჟამად, ძირითადად, შიდა ტრანზაქციებისთვის გამოიყენება და მასში მონაწილეობას მხოლოდ 400 ბანკი იღებს.

SWIFT-ის ალტერნატივის შექმნაზე მუშაობს ჩინეთიც, რომელმაც 2015 წელს ქსელში გაუშვა საკუთარი საერთაშორისო საბანკო სისტემა - CIPS. რუსული SPFS-ის და ჩინური CIPS-ს შექმნა იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთისა თუ ჩინეთისათვის SWIFT-დან გარიცხვის შესაძლებლობა არ არის წარმოუდგენელი და ისინი, გარკვეულწილად, ემზადებიან კიდეც ამ მოვლენისთვის.

ეკონომისტთა ნაწილის შეფასებით, SWIFT-დან გარიცხვა გადაჭარბებულადაა შეფასებული და ის სულაც არ წარმოადგენს „ბირთვულ იარაღს", რადგან მისი ჩანაცვლება შესაძლებელია.

გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთის ეკონომიკა ადაპტირდება დაწესებულ სანქციებთან და შეიქმნება ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შეზღუდვების მაქსიმალურად გვერდის ავლა, SWIFT-ის ალტერნატივის შექმნაც სწორედ ამ მეთოდთაგანია.

გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

რუსეთი საქართველოს რიგით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წელს რუსეთთან სავაჭრო ბრუნვამ 1.63

მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც საერთო ბრუნვის 11.4%-ს შეადგენს. ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების საერთო მოცულობით რუსეთი პირველ ადგილზეა, გასულ წელს რუსეთიდან საქართველოში 411 მილიონი დოლარი შემოვიდა.

რუსეთზე SWIFT-დან გაძევებით მიყენებული დარტყმა და ზიანი აუცილებლად აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, რაც რუსეთზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებლითაა განპირობებული. სავარაუდოდ, მსგავსი მასშტაბის მოვლენა რეგიონში ეკონომიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს, რასაც მოჰყვება სავალუტო შოკებიც. მოკლევადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია - რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემოსვლის გართულება, ეროვნული ვალუტის დოლართან და ევროსთან მიმართებით გაუფასურება და რუსეთიდან იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდა, რაც, თავის მხრივ, აისახება ქვეყანაში ინფლაციის დონეზე.

დასკვნა

ქვეყნის SWIFT-დან გაძევება სანქციების ერთ-ერთი უმწვავესი ფორმაა, რომელსაც მარტივად შეუძლია მოკლე პერიოდში ქვეყანაზე დიდი ეკონომიკური დარტყმის მიყენება, თუმცა მისი შესაძლებლობები შეზღუდულია, რადგან დროსთან ერთად შესაძლებელია ამ სანქციაზე მორგება და მისი ალტერნატიული სისტემის შექმნა.

რუსეთის მსგავსი სახელმწიფოს გასატეხად მხოლოდ SWIFT-დან გაძევება არ არის საკმარისი, ამისათვის გაცილებით მეტია საჭირო. რუსეთის წინააღმდეგ სანქციებით ბრძოლის ყველაზე ეფექტურ სტრატეგიად შერეული მეთოდი რჩება, რაც მასშტაბურ შეზღუდვებთან ერთად, ისეთი როგორიცაა SWIFT-დან გაძევება, წერტილოვან, მიზანმიმართულ სანქციებსაც ითვალისწინებს, რომელიც ზოგად და კონკრეტულ დონეზეც ზღუდავს რუსეთს.

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ 21-ე საუკუნეში, მაშინ, როდესაც სრულიად კაცობრიობა მისი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, ახალ პლანეტებს ითვისებს, ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებს გვიზიარებს, ომზე მომიწევდა წერა. ომზე, რომელიც როგორც ადრე აღვნიშნე, ერთი შეხედვით შორს, მაგრამ ამავდროულად, ძალიან, ძალიან ახლოსაა. მე მივეკუთვნები იმ თაობას, რომელსაც წინაპრებმა საკუთარი სისხლით მოუპოვეს თავისუფლება, შეუნარჩუნეს იდენტობა და გვითხრეს: „გაუფრთხილდით". დღეს ამ მონაპოვარისთვის იბრძვის მსოფლიოც. ამ ბრძოლაში კი მამაკაცებთან ერთად, ქალებიც იბრძვიან.

ქალები ოდითგანვე მშვიდობისთვის მებრძოლად ითვლებოდნენ. მაგრამ, ჩვენ ყველა მივეჩვიეთ, რომ ომი, კაცის საქმეა - სამშობლოს დაცვა, მტრების მოგერიება, სუსტებზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა. ქალები ნებსით თუ უნებლიეთ, ამ სასტიკი პროცესის ნაწილი ხდებიან. ომში ქალები კარგავენ სახლებს, მშობლებს, ქმრებს, შვილებს. მთელი მათი ახალგაზრდობა, იმედები და ოცნებები ერთ წამში იმსხვრევა. დედამიწაზე მათი ცხოვრება ჯოჯოხეთი ხდება. 20 წლის ახალგაზრდები დღეს ჭაღარავდებიან. ძნელი წარმოსადგენია როგორია მათი ცხოვრება ახლა, ომში, ანდაც როგორ იქნება ის ომის შემდეგ.

ისტორიულად რომ მივუდგეთ ამ საკითხს, წითელ არმიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ფრონტის წინა ხაზზე, დაახლოებით, 800 ათასი ქალი იბრძოდა. მათგან დაახლოებით 150 ათასი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა, 90-ზე მეტს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომში ქალები იყვნენ სანინსტრუქტორები, სნაიპერები, მფრინავები, მარეგულირებლები, პარტიზანები, უზრუნველყოფდნენ კავშირგაბმულობას და მუშაობდნენ ქარხნებში - ისინი ჩეხდნენ ტყეებს, თხრიდნენ ტანკსაწინააღმდეგო სანგრებს და ტრანშეეებს ფრონტის ტერიტორიაზე.

გარდა რუსეთის არმიისა, არანაკლები და განსაკუთრებული როლი შეასრულეს ომში ამერიკელმა ქალებმა. მათ ომს არამხოლოდ თავიანთი ვაჟები, ქმრები და მამები დაუთმეს, არამედ დროც, ენერგიაც და სიცოცხლეც კი. მათი ქმრების ომში წასვლის შემდეგ, როდესაც გაიზარდა მოთხოვნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, ქალები პირველად გახდნენ ტრამვაის მძღოლები. ისინი ხდებიან გამოცდილი მზარეულები, მართავენ ფინანსებს, ისწავლეს მანქანის შეკეთება, მუშაობენ სამხედრო ქარხნებში. თითქმის 350,000 ამერიკელი ქალი მსახურობდა ჯარში. ისინი მოხალისედ მუშაობდნენ ახლად ჩამოყალიბებულ ქალთა არმიის დამხმარე კორპუსში, საზღვაო ძალებისა და გვარდიის ქალთა რეზერვში, ქალთა საჰაერო ძალების სამსახურში, არმიის ექთნებისა და საზღვაო ძალების მედდების კორპუსში. გენერალი ეიზენჰაუერი გრძნობდა, რომ ვერ მოიგებდა ომს ფორმიანი ქალების დახმარების გარეშე. უნიფორმაში ჩაცმული ქალები იკავებდნენ თანამდებობას, მართავდნენ სატვირთო მანქანებს, აკეთებდნენ თვითმფრინავებს, მუშაობდნენ ლაბორატორიის ტექნიკოსებად, აწყობდნენ პარაშუტებს, მსახურობდნენ რადიოოპერატორებად, აანალიზებდნენ ფოტოებს, აფრენდნენ სამხედრო თვითმფრინავებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ტესტავდნენ ახლად შეკეთებულ თვითმფრინავებს და საზენიტო საარტილერიო მსროლელებსაც კი ამზადებდნენ მფრინავობისთვის. არმიის მედდების კორპუსში ფრონტის ხაზთან, 16 ქალი დაიღუპა მტრის პირდაპირი ცეცხლის შედეგად. 68 ამერიკელი სამხედრო ქალი ფილიპინებში ტყვედ აიყვანეს. 1600-ზე მეტი მედდა დაჯილდოვდა გამბედაობისთვისა და დამსახურებული სამსახურისთვის.

დიდი ბრიტანეთი

1938 წელს ბრიტანელებმა ქალებისთვის დააწესეს ერთიანი სერვისები. მანამდე ქალებისთვის ექთნების მცირე განყოფილებები უკვე მუშაობდა. 1941 წლის მიწურულს ბრიტანეთმა დაიწყო ქალების გაწვევა, რომელთა უმეტესობა გაგზავნა ქარხნებში, ნაწილი კი ჯარში, განსაკუთრებით ჯართან დაკავშირებულ დამხმარე ტერიტორიულ სამსახურში (ATS). ATS, 1938 წელს ქალთა დამხმარე სამსახური იყო. 1941 წელს, ATS-ს მიენიჭა სამხედრო სტატუსი, თუმცა ქალები იღებდნენ მამრობითი სქესისგან განსხვავებით, ანაზღაურების მხოლოდ ორ მესამედს. ქალებმა კარგად მოირგეს როლი გერმანული თვითმფრინავებისა და V-1 რაკეტების წინააღმდეგ საზენიტო იარაღის მართვაში. პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის ქალიშვილიც იქ იმყოფებოდა. 1941 წლის აგვისტოსთვის ქალები მუშაობდნენ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუმენტებით; უნდა აღინიშნოს, რომ მათ არასოდეს მისცემიათ ჩახმახის გამოყენების უფლება, რადგან მტრის მოკვლა ზედმეტად მამაკაცურად ითვლებოდა. 1943 წლისთვის 56,000 ქალი იმყოფებოდა საზენიტო სარდლობაში, ძირითადად ლონდონის მახლობლად მდებარე ქვედანაყოფებში, სადაც მათ სიკვდილის საფრთხე უფრო ემუქრებოდათ, ვიდრე დატყვევება. ქალის პირველი სიკვდილი საზენიტო სარდლობაში 1942 წლის აპრილში დაფიქსირდა.

გერმანია

გერმანიაში ქალები მსახურობდნენ საზღვაო ფლოტის (Kriegshelferinnen), საჰაერო ძალების (Luftnachrichtenhelferinnen) და არმიის (Nachrichtenhelferin) დამხმარე ნაწილებში. მეორე ქალი, რომელმაც რკინის ჯვარი მფლობელი გახდა, მედდა ელფრიდე ვნუკი იყო. 1944-45 წლებში დაახლოებით 500 000 ფორმიანი ქალი მოხალისე იყო გერმანიის შეიარაღებულ ძალებში (ვერმახტი). დაახლოებით ამდენივე მსახურობდა სამოქალაქო საჰაერო თავდაცვაში, 400 000 მოხალისე მუშაობდა მედდად და კიდევ ბევრმა ჩაანაცვლა ომში გაწვეული მამაკაცი ეკონომიკაში. გერმანიის საექთნო სამსახური შედგებოდა ოთხი ძირითადი ორგანიზაციისაგან, ერთი კათოლიკებისთვის, ერთი პროტესტანტებისთვის, სეკულარული DRK (წითელი ჯვარი) და "ყავისფერი ექთნები", ერთგული ნაცისტი ქალებისთვის. სამხედრო მედდა, ძირითადად, DRK-ში მსახურობდა, რომელიც ნაწილობრივ ნაცისტების კონტროლის ქვეშ მოექცა. თუმცა, წინა ხაზზე სამედიცინო მომსახურებას მაინც მამაკაცი მედიკოსები და ექიმები სწევდნენ. წითელი ჯვრის ექთნები ფართოდ მსახურობდნენ სამხედრო სამედიცინო სამსახურებში, რომლებიც დაკომპლექტდნენ საავადმყოფოებში ფრონტის ხაზთან ახლოს და თავდასხმის რისკის ქვეშ ასრულებდნენ თავიანთ საქმეს.

ვიეტნამის ომი

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მცირე ოფიციალური მონაცემები არსებობს ვიეტნამის ომის ვეტერანებზე, ვიეტნამის ქალთა მემორიალური ფონდის შეფასებით, კონფლიქტის დროს ვიეტნამში დაახლოებით 11,000 სამხედრო ქალი იყო განთავსებული. თითქმის ყველა მათგანი მოხალისე იყო და 90 პროცენტი სამხედრო ექთნად მსახურობდა, თუმცა ქალები ასევე მუშაობდნენ ექიმებად, საჰაერო მოძრაობის მაკონტროლებლად, დაზვერვის ოფიცრებად, კლერკებად და სხვადასხვა პოზიციებზე აშშ-ს ქალთა არმიის კორპუსში, აშშ-ს საზღვაო ფლოტში, საჰაერო ძალებში და საზღვაო ქვეითებსა თუ არმიაში. შეიარაღებული ძალების გარდა, ვიეტნამში ქალების უცნობი რაოდენობა მსახურობდა წითელი ჯვრის, გაერთიანებული სამსახურის ორგანიზაციების (USO), Catholic Relief Services და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების სახელით, ან როგორც უცხოელი კორესპონდენტები სხვადასხვა საინფორმაციო ორგანიზაციებისთვის.

ისრაელი

უშვილო, მარტოხელა და გათხოვილი ქალების სავალდებულო გაწვევა ისრაელში 1948 წელს დაიწყო. თავდაპირველად, წვევამდელი ქალები მსახურობდნენ ქალთა არმიის კორპუსში, მსახურობდნენ როგორც კლერკები, მძღოლები, კეთილდღეობის მუშაკები, ექთნები, რადიოოპერატორები, ფრენის კონტროლიორები, საბრძოლო იარაღის პერსონალად და ინსტრუქტორებად. ტექნიკური და სამდივნო მხარდაჭერის მიღმა ქალთა როლები გაფართოვდა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში. 2000 წელს სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის თანასწორობის ცვლილებამ სამხედრო სამსახურის თანაბარი შესაძლებლობები მიანიჭა ქალებს, რომლებიც ფიზიკურად და პიროვნულად შესაფერისები იყვნენ სამხედრო სამსახურისთვის. ქალებმა დაიწყეს საბრძოლო მხარდაჭერისა და მსუბუქ საბრძოლო სამსახურში შესვლა რამდენიმე რაიონში, მათ შორის საარტილერიო კორპუსში, ქვეით ნაწილებსა და ჯავშან დივიზიებში. რამდენიმე ოცეული, სახელად „კარაკალი", შეიქმნა საერთო სამსახურისთვის, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვისაც მსუბუქ ქვეითთა სამსახურში. ბევრი ქალი შეუერთდა ასევე სასაზღვრო პოლიციას. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, სამხედრო მოსამსახურე ქალების 4 პროცენტზე ნაკლები იმყოფება საბრძოლო პოზიციებზე, როგორიცაა ქვეითი, ტანკების, საარტილერიო ან სხვა ჯავშანტექნიკის ეკიპაჟი, მოიერიშე მფრინავები და ა.შ. ისინი კონცენტრირებულნი არიან როგორც „საბრძოლო მხარდაჭერის" ჯგუფები.

ქალთა ომში ჩართულობის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. თუმცა, ამ ისტორიულ ფონზე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ჩვენი, ქართველი ქალების როლი საქართველოს ისტორიაში. მედეა, თამარ მეფე, ქეთევან წამებული, თამარ ვაშლოვნელი (ხალხური), მაია წყნეთელი (ხალხური), თინა წავკისელი (ხალხური), დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ქალები - დარეჯან დედოფალი, თეკლა ბატონიშვილი, ეკატერინე ბარათაშვილი, მარო მაყაშვილი და სხვები... რომლებმაც ჩვენი ქვეყნის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე თავიანთი კვალი დატოვეს სამშობლოს დაცვისა და განვითარების გზაზე. უმეტესობა მათგანმა საკუთარი ბრძოლით, საკუთარი ფიზიკური, გონებრივი თუ დიპლომატიური ძალებით შეძლო ქვეყნის მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვალა, მათმა სულიერმა სიძლიერემა და გაუტეხლობამ მაგალითი მისცა არამარტო ქართველ ქალებს, არამედ ქართველ მამაკაცებსაც. ქართველი ქალის მხრებზე გადადიოდა ომის ქარცეცხლი, მათ საიმედო დასაყრდენის გარეშე და ხშირად სრულიად მარტოს უწევდათ მტერთან გამკლავება. ქართველმა ქალმა ძალიან კარგად იცის, რა არის ომი, მისი გამანადგურებელი ძალა. ის იბრძვის, ის ზრუნავს და ის აძლევს სხვას ძალას, რომ გააგრძელოს სიცოცხლე, გააგრძელოს ხშირად გაუსაძლისი არსებობაც კი.

ამ გზას გადის დღეს უკრაინაც, უკრაინელი ქალებიც, რომლებიც მაგალითად იქცნენ მთელი მსოფლიოსთვის სიმამაცის, აღუწერელი ძალისა და იმედისა, რომელიც ბოლოს კვდება და ბოლოს ამოდის იმ ყუთიდან, რომელსაც პანდორას ყუთი ჰქვია. ეს ყუთი ოკუპანტმა ქვეყანამ -რუსეთმა დიდი ხანია გახსნა და ცდილობს საკეტი სამუდამოდ გატეხოს, მაგრამ იმ ძალისა და სულიერი სიძლიერის ფონზე, რასაც უკრაინელი ხალხი ყოველდღე ამტკიცებს, ამას ვერასდროს შეძლებს. ომში ყველა ადამიანი თავისებურად იბრძვის - კაცები, ქალები, ბავშვებიც კი, რომელთა სიცოცხლესაც იცავენ და ეფარებიან საკუთარი ზურგით სწორედ ქალები, დედები, ბებიები, მეუღლეები. ისინი არიან ომის ყველაზე სასტიკი მხარის მსხვერპლნი, მსხვერპლნი გაუგონარი უსამართლობისა და სისასტიკისა, ომში იბრძვის ყველა - ის ვინც სიცოცხლეს ართმევს და ის, ვინც სიცოცხლეს ჩუქნის - მეტროში, სარდაფსა თუ დაბომბილ საავადმყოფოში! სიცოცხლეს მომავალ თაობას, ხოლო იმედს კი - მსოფლიოს!

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სიცოცხლე მომავალ თაობას, იმედი კი – მსოფლიოს!

შეიქმნა კახეთის რეგიონული ბრენდი ,,შეიგრძენი კახეთი“

ვესაუბრებით დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს წარმომადგენელს ქ-ნ ანა ბენაშვილს, რომელიც გახლავთ კახეთის ბრენდის სამუშაო ჯგუფის და კომისიის წევრი დედოფლისწყაროდან.

-ქ-ნო ანა, თქვენ დედოფლისწყაროს სამუშაო ჯგუფის წევრი და კახეთის რეგიონული ბრენდის კომისიის წევრი ხართ, რა არის კახეთის რეგიონული ბრენდი, რა მიზნით შეიქმნა და რა ამოცანებს ისახავს?

ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

-კახეთის რეგიონული ბრენდი - „შეიგრძენი კახეთი“ (შემდგომში KRB ან ბრენდი, ინგლისურ ენაზე პალატის სახელწოდებაა: Kakheti regional brand – “Feel Kakheti”) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ფიზიკური და იურიდიული პირების გაერთიანებს, რომელიც დაარსებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა რეგიონული სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ბრენდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების, წესდების, შერჩევის კრიტერიუმების და მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისთვის.

კახეთის რეგიონული ბრენდი შეიქმნა ვიშეგრადის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით,პროექტის -„სოფლის ეკონომიკის გაძლიერება რეგიონული ბრენდინგის სისტემის მეშვეობით კახეთში, საქართველო“- ფარგლებში და პროექტის პარტნიორი ვიშეგრადის ქვეყნების ელჩების (CZ, HU, SK), სავაჭრო პალატების და მათი წარმომადგენლების: სილვია ჰილკოვა (RDA სლოვაკეთი), კატერინა კადილოვა (ARB ჩეხეთი), ჰენრიეტა ჰუბერტოვა (EGTBC უნგრეთი), თეა სტურუა (SGCC საქართველო), ნიკოლოზ ჩანადირი (SGCC საქართველო), კახი გიგაური(KRDF საქართველო), მხარდაჭერით.

კახეთის რეგიონული ბრენდი - „შეიგრძენი კახეთი“, კახეთის რეგიონის მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდასაჭერად შეიქმნა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციას ემსახურება . მისი მიზანია კახეთის ტერიტორიაზე მოქმედი პროდუქციის მწარმოებელ და/ან მომსახურების მიმწოდებელ ბიზნეს სუბიექტებს, მათი სურვილის და რეგიონული ბრენდის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მიანიჭოს რეგიონული ბრენდის სავაჭრო ნიშანი; გახადოს ისინი ცნობადები, გაზარდოს მათი ხელიმასწვდომობა ბაზრებზე და ხელი შეუწყოს კახეთის რეგიონში სოფლად ეკონომიკის გაძლიერებას რეგიონული ბრენდირების გზით.

ბრენდის ამოცანაა მოიძიოს და შემუშავებული (ხარისხსა და ავთენტურობაზე ორიენტირებული) კრიტერიუმების მიხედვით, ბრენდის სავაჭრო ნიშანი მიანიჭოს კახეთის რეგიონში მოქმედ ბიზნეს-სუბიექტებს. უზრუნველყოს ბრენდის წევრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მათი ცნობადობის გაზრდა, დაიცვას ბრენდის პრესტიჟი და ხელი შეუწყოს ბრენდის წევრების გაფართოებას.

-ვინ არიან ბრენდის მხარდამჭერები, პარტნიორები და რა სარგებელი მოაქვს მას მეწარმეებისთვის და ზოგადად რეგიონისთვის?

-ბრენდი თანამშრომლობს კახეთის 8 მუნიციპალიეტის ბიზნეს-სუბიექტებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობებთან, ასევე ტურიზმის, სოფლის განვითარების, გარემოს დაცვის, სურსათის სააგენტოების რეგიონულ სამსახურებთან, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მედია საშუალებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ბრენდი მონაწილეობას იღებს პროექტებისა და გეგმების შემუშავება-განხორციელებაში.

ბრენდი ხელს უწყობს ეკონომიკური ინფორმაციის გავრცელებას, თანამშრომლობას და ბიზნეს შესაძლებლობების განვითარებას ბიზნეს სუბიექტებს შორის კახეთის რეგიონში, ასევე, საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და ქვეყნის ფარგელებს გარეთ. კახეთის ბრენდის სავაჭრო ნიშანი ხარისხის და სანდოობის მიმართულებით უპირატესობას ანიჭებს პროდუქტს, ზრდის მის თვითღირებულებას და ხდის კონკურენტუნარიანს სამომხმარებლო ბაზარზე. წარმოაჩენს კახეთის რეგიონის სამეწარმეო შესაძლებლობებს და იზიდავს ინვესტორებს, ხელს უწყობს რეგიონის და მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ მდგრადობას.



-რა პრინციპებს ემყარება ბრენდის საქმიანობა?

ბრენდის საქმიანობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- გადაწყვეტილებების მიღება ქვემოდან ზემოთ პრინციპით ფართო კონსესუსის საფუძველზე;
- თანასწორობა;
- ეკონომიკური დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- კახეთის რეგიონის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაცვა;
- ეკოლოგიურად უსაფრთხო წარმოების მხარდაჭერა, გარემოზე ზრუნვა და დაცვა;
- სამართლიანი ვაჭრობის წესების პატივისცემა;
- სამართლიანი ბიზნეს-პარტნიორობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვა;
- საქართველოს სამართლებრივი ნორმების პატივისცემა.

როგორც ხედავთ, კახეთის ბრენდის მიზნები და მეთოდოლოგია სრულად მიესადაგება დედოფლისწყაროს ,,ლაგის“(LAG) პრიორიტეტებს და მეთოდოლოგიას. ამიტომაც ჩავერთეთ აქტიურად მიმდინარე პროექტში, ასევე, ბრენდების შესარჩევ კომისიაში.

-თქვენ, დედოფლისწყაროელ მეწარმეებთან და და მერის მოადგილესთან მალხაზ მერაბიშვილთან ერთად, მიწვეული იყავით პროექტის დასკვნით კონფერენციაზე, იქნებ გვითხრათ, რა საკითხები განიხილეთ და ვინ მიიღო კახეთის ბრენდის სავაჭრო ნიშანი დედოფლისწყაროელი მეწარმეებიდან?

- 25 თებერვალს თელავში, სასტუმრო „Zuzumbo Resort and Spa”- ში პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების ჩართულობით, ჩატარდა საერთაშორისო შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც საქართველოს, უნგრეთის, სლოვაკეთის და ჩეხეთის საელჩოების და სავაჭრო პალატების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და გამოხატეს თავიანთი ემოციები სამომავლო გეგმების და თანამშრომლობის შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ბრენდის დამფუძნებლები, კომისიის წევრები, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის და რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნეს საქართველოს სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა თეა სტურუამ და ნიკოლოზ ჩანადირმა. პროექტის შედეგებზე ისაუბრა სილვია ჰილკოვამ (RDA სლოვაკეთი), ხოლო ელექტრონული კატალოგის შესახებ - ჰენრიეტა ჰუბერტოვამ (**EGTBC** უნგრეთი); დიზაინის სახელმძღვანელოს შემუშავების თემაზე ისაუბრა კახი გიგაურმა (KRDF საქართველო), ხოლო, სხვა რეგიონებში გაფართოებისთვის რეკომენდაციების ნაკრები წარმოადგინა კატერინა კადილოვამ (ARB ჩეხეთი). პროექტის კოორდინატორმა თეა სტურუამ (SGCC საქართველო) ამომწურავად ისაუბრა პროექტის მიმდინარეობის ეტაპებსა და საქმიანობებზე, ასევე, რეგიონული ბრენდირების პლატფორმის ჩამოყალიბებასა და სამომავლო გეგმებზე;

დედოფლისწყაროდან წარდგენილი ოთხი საწარმოდან (სულ 18 საწარმო იყო წარდგენილი), ყველა მეწარმის პროდუქტს მიენიჭა კახეთის ბრენდის სავაჭრო ნიშანი. სახელოსნო შპს „ფესვები“ და ყველის საწარმო „ლეანკა“, თავად საწარმოები დაიბრენდა და მათ უფლება აქვთ თავიანთი ნებისმიერი პროდუქტი გაიტანონ ბაზარზე კახეთის ბრენდის სავაჭრო ნიშნით-ლოგოთი „შეიგრძენი კახეთი“. კახეთის ბრენდის სავაჭრო ნიშანი მიენიჭა „ნასრაშვილების მარანი“-ის მიერ წარმოებულ ღვინოს „მუსკატს“ და შპს „ნინო მერის“ საფერავს და ჩურჩხელას, რომელიც ვაკუუმ შეფუთვით გადის სარეალიზაციოდ და შენახვის ხანგრძლივი ვადა აქვს (ეს პროდუქტები უკვე პოზიციონირებენ როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე).

პირველი ბრენდების სერტიფიკატები და პრიზები საზეიმოდ გადასცეს მეწარმეებს თეა სტურუამ და კახი გიგაურმა. თავიანთი ემოციები გამოხატეს კახეთის ბრენდის მფლობელებმაც.

შემდეგ გაიმართა კახეთის რეგიონული ბრენდის მიერ სერტიფიცირებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების მოლოდინში...

რა აზიანებს ადამიანის ფსიქოლოგიას ყველაზე მეტად, თუ არა ომი?! რა შეურაცხყოფს ადამიანს ყველაზე მეტად, თუ არა ომი?! რა სტკენს ადამიანს გულს ყველაზე მეტად, რა ლახავს მის უფლებებს ყველაზე მეტად? სამწუხაროდ მსოფლიოს ახსოვს ასეთი ბევრი პრეცედენტი. განა ადამიანის უფლებების დარღვევა არაა მის ტერიტორიაზე ჩუმად შეჭრა და დაპყრობა? განა ადამიანის უფლებების დარღვევა არაა წლების მანძილზე შრომით შეძენილი ქონების წართმევა და ყველაზე დიდის და ფასდაუდებლის - სიცოცხლის მოსპობა?

ჩვენი ქვეყნის არც თუ ისე შორეულ წარსულს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის რამდენიმე ომი მოხდა: სოჭის კონფლიქტი (1918-1919), რუსეთ-საქართველოს ომი 1921 და 2008 წწ.

ბოლო ომზე რომ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა...

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდია, რომელსაც ყველანი შევესწარით. ომის საბოლოო პრაქტიკული მომზადება რუსეთმა 2006 წლის დასაწყისში დაიწყო. ირონიულია, რომ ამ მზადების ნაწილი საქართველოშივე მიმდინარეობდა. 2006 წლის მარტში რუსეთი სამხედრო ბაზის მშენებლობას შეუდგა სოფელ ელბაქითაში, ჯავის მახლობლად. ასევე, 2006 წელს ჯავის რაიონში აშენდა ტანკების საწვავით გასამართი სადგური. აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რეგიონში რუსეთის „სამშვიდობო“ ძალებს ტანკები არ ჰყავდათ. 2007-2008 წლებში რუსეთმა საქართველოში თავის სამხედრო ინფრასტრუქტურას კიდევ ორი ბაზა დაუმატა. ერთი უგარდანთაში (ჯავის მახლობლად) აშენდა, ხოლო მეორე — ქალაქ ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მოგვიანებით, სწორედ უგარდანთას ბაზაზე დროებით განლაგდნენ ომის პირველ დღეს — 2008 წლის 7 აგვისტოს — რუსეთიდან შემოჭრილი სამხედრო ძალები. ბაზის მშენებლობა 2008 წლის ივლისში დასრულდა.

2008 წლის გაზაფხულზე აგრესიისთვის მზადების საბოლოო ფაზა დაიწყო. 17 აპრილს აფხაზეთში შევიდა 300 რუსი ჯარისკაცი. 21 აპრილს მოსკოვმა განაცხადა, რომ ნოვოროსიისკიდან აფხაზეთში მე-7 სადესანტო-მოიერიშე დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონი გადაიგზავნებოდა, რომელსაც არტილერიაც ახლდა. ეს აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო მანდატს ეწინააღმდეგებოდა, თუმცა ამგვარ უმნიშვნელო დეტალებს სერიოზული სამხედრო ოპერაციის მომზადებაში ჩართული კრემლი ყურადღებას აღარ აქცევდა. ბატალიონი აფხაზეთში რამდენიმე დღეში შევიდა. 26 აპრილსა და 1 მაისს აფხაზეთში რუსეთიდან გადაისროლეს დიდი საარტილერიო ძალები და სამხედრო სპეციალისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფი. 1 ივლისს აფხაზეთში კიდევ 250 რუსი ჯარისკაცი შევიდა, ხოლო 14 ივლისს ცხინვალში რუსი სამხედრო ექიმების ჯგუფი დაბანაკდა. 2008 წლის მაისში რუსეთიდან გამოგზავნილი სპეცდანიშნულების ძალები განლაგდნენ როგორც გალის რაიონში, ასევე ცხინვალთან. მოგვიანებით, 8 აგვისტოს დილას, სწორედ რუსული ჯარის მე-10 სპეცდანიშნულების ბრიგადის ჯარისკაცებმა მოახდინეს ქართულ ჯართან პირველი ბრძოლის ინიცირება. მეტად მნიშვნელოვანი იყო რუსული სამხედრო სარკინიგზო ჯარების მიერ ოჩამჩირემდე რკინიგზის რემონტი. სამუშაოები ივნისივლისში მიმდინარეობდა და 30 ივლისს დასრულდა — ომამდე 1 კვირით ადრე. ომის დროს სწორედ აღდგენილ რკინიგზას იყენებდნენ იმ რუსული სამხედრო ძალების გადაადგილებისთვის, რომლებიც შემდეგ სამეგრელოში შეიჭრნენ. ამის შემდეგ, აგვისტოს პირველ დღეებში უკვე დაიწყო ცხინვალის რეგიონში როგორც რუსული ჯარის შენაერთების, ასევე ნახევრად ფორმალური რაზმების მუდმივი შემოდინება, რომელიც 7 აგვისტოსთვის მასშტაბურ შემოჭრაში გადაიზარდა.

ცალკე და ფართო საკითხებია კრემლის მიერ ომის პოლიტიკური მომზადება, სამხედრო დაგეგმარება, რუსეთის ჯარის წვრთნები და ინფრასტრუქტურის მშენებლობა რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის ჯარისა და სპეცსამსახურების კადრების მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა ცხინვალისა და სოხუმის მარიონეტულ „მთავრობებში“ და საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევები. მაგრამ 2006-2008 წლებში რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და არასამშვიდობო სამხედრო ძალების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე, მის წინააღმდეგვე ომის საწარმოებლად განსაკუთრებით საინტერესო მოვლენაა.

2008 წლის აგვისტოს ომზე კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება. მაგალითად, იმაზე, რომელი სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურები ვარაუდობდნენ წინასწარ რუსულ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. ან იმაზე, როგორ შევიდა საქართველო კიბერ ომის ისტორიაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა საუბარი იმ გაკვეთილებზე, რომლებსაც 2008 წლის ომის გამოცდილება გვთავაზობს. თუმცა, სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენ საკუთარ მწარე გაკვეთილებზეც ვერაფერს ვსწავლობთ. ამაზე დღევანდელი რეალობა მეტყველებს...

აგრესიული მიზნით წარმოებული ომი ყოველთვის ცუდია...

გაერო ადგენს, რომ აგრესიული მიზნით წარმოებული ომი საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. იგი სახელმწიფოს სუვერენობის, ტერიტორიული ინტეგრაციისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული ძალის გამოყენებას გულისხმობს. აგრესია საერთაშორისო პასუხისმგებლობას მოითხოვს და ვერც პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური ან ნებისმიერი სხვა მოტივი გამოდგება აგრესიის დასასაბუთებლად.



„ზოგმა დამჭურობელმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირეკვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი - ზნეობრივ-ზნებრივი ზარალი, არავის მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა.
სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის განმგებლად და ავად თუ კარგად, თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ეაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, დღესაც კი - რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი, არამცთუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი, ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ქღმურტულებს. მარტო ბრმა და ერუ ან ჯიუტი და მოდალატე ქართველი - მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი.“

გრიგოლ რობაქიძე

ანალოგიური სცენარი განახორციელმა რუსეთმა უკრაინაშიც. 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა. რუსეთის ფედერაცია უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის დაგეგმვისას ფიქრობდა, რომ ოპერაცია ძალიან ხანმოკლე იქნებოდა,მაგრამ...ის უკვე მეორე კვირაა რაც მიმდინარეობს. ბრძოლები რამდენიმე სხვადასხვა ოლქში დღესაც გრძელდება. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ასობით სამოქალაქო პირი. მილიონობით უკრაინელი ლტოლვილად იქცა. ის რაც უკრაინაში დღეს ხდება, იმის გამეორებაა, რაც საქართველოს რუსეთმა ექვსი წლის წინ დაატეხა თავს. რუსული პოლიტიკა, რომელიც აძლიერებს ძალაუფლებას და გავლენას იქ, სადაც იპყრობს ტერიტორიებს, მეცხრამეტე საუკუნის მოდელს ჰგავს და აბსურდულია. რუსეთი მშვიდობიან უკრაინელებს რომ არ ინდობს, ამ დღეებში უამრავმა ფაქტმა დაადასტურა - საცხოვრებელი კორპუსების, მოედნების დაბომბვებმა თუ, სავარაუდოდ, აკრძალული იარაღის გამოყენებამ. დაღუპულთა შორის არიან ქალები და ბავშვები.

ოკუპანტების მიერ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე თავდასხმა უპრეცედენტო დონის ტერორად შეაფასა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. „უკრაინელებო! ჩვენ გადავურჩით ღამეს, რომელსაც უკრაინისა და ევროპის ისტორიის შეჩერება შეეძლო. რუსეთის ჯარები თავს დაესხნენ ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს. ელექტროსადგურს, რომელიც ევროპაში ყველაზე დიდია და მხოლოდ ის შეიძლება იყოს „ექვსჯერ აღებული ჩერნობილი“. რუსმა ოკუპანტებმა და სამხედროებმა გამიზნულად დაგომგეს ელექტროსადგური, რაც არის საერთაშორისო და უპრეცედენტო დონის ტერორი. რუსო ხალხნო, მინდა მოგმართოთ: როგორ არის ეს საერთოდ შესაძლებელი? ჩვენ 1986 წელს ერთად ვებრძოდით ჩერნობილის კატასტროფის შედეგებს. უნდა გახსოვდეთ აფეთქების შედეგად მიმოფანტული დამწვარი გრაფიტი და მსხვერპლი. თქვენ უნდა გახსოვდეთ ნათება განადგურებული ელექტროსადგურის ზემოთ. აუცილებლად უნდა გახსოვდეთ ევაკუაცია პრიპიატიდან და 30 კილომეტრიანი ზონიდან. როგორ შეგიძლიათ დაივიწყოთ? და თუ არ დაგავიწყდათ, მაშინ ვერ გაჩუმდებით. თქვენ უნდა მიმართოთ თქვენს ხელისუფლებას, გამოხვიდეთ ქუჩაში და თქვათ, რომ გსურთ ცხოვრება დედამიწაზე, რადიოაქტიური დაბინძურების გარეშე. რადიაციამ არ იცის, სად არის რუსეთის საზღვარი“, - განაცხადა მან.

ახლა უკრაინის მრავალი ქალაქი და სოფელი ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ, ჰუმანიტარული კორიდერების მოწყობაზე რუსეთთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, უკრაინა წითელ ჯვარს კორიდორების ორგანიზებაში დახმარებას სთხოვს. დასახლებებში მოსახლეობას არ აქვს საკმარისი საჭმელი, წყალი, წამლები, არაა ელექტროენერგიაც. ათასობით ადამიანი საჭიროებს ევაკუაციას. ვითარების გაუარესების შემთხვევაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) ლტოლვილთა რაოდენობის 4 მილიონამდე ზრდას ელოდება. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა, ფილიპო გრანდიმ თქვა, რომ მეზობელი ქვეყნების მთავრობებთან მუშაობენ და მოუწოდებს მათ საზღვრები ღია დატოვონ მათთვის, ვინც უსაფრთხო ადგილსა და თავდაცვის გზებს ეძებს. ცნობილი გახდა, ასევე ისიც, რომ უკრაინელ ლტოლვილებს სამი წლით ევროკავშირში ცხოვრების უფლება ექნებათ. ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის შსს-ს პრესსამსახურმა გაავრცელა. ევროკავშირი ითვალისწინებს უკრაინის მოქალაქეებისა და რეზიდენტებისთვის ერთი წლით ბინადრობისა და მუშაობის უფლების გამარტივებული წესით გაცემას. ომი თუ გაგრძელდება, ნებართვის მოქმედების ვადა გახანგრძლივდება.

მილიონობით ლტოლვილი, ასობით დაღუპული მშვიდობიანი და სამხედრო მოსამსახურე, განადგურებული და დანგრეული ქალაქები თუ სოფლები, შიში, მაგრამ მოლოდინი უკეთესობისა...რომ სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს ბოროტებაზე...

ომი ყოველთვის დამანგრეველია. ის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ანადგურებს მასში მონაწილე მხარეებს. ომს ეწირება უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე. ყველაზე დიდი საშინელება კი შეშინებული და ატირებული ბავშვების ყურებაა, იმ პატარების, რომელთა უმანკო თვალებში სასოწარკვეთა და ტკივილია ჩასახლებული. ნუთუ ამდენი ტკივილისა და საშინელების ფასად ღირს მსოფლიო ტერიტორიების გადანაწილება?!

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

ემპათია პოლიტიზირების პირისპირ



„ერის გადაგვარების პირველი სიმპტომი, მისი სრული პოლიტიზირებაა. ამ დროს ადამიანები იყოფიან მომხრეებად და მოწინააღმდეგებად, დავობენ, სძულთ ერთმანეთი და აღარავინ აკეთებს თავის საქმეს. ასე ირყვნება ერი და ენგრევა სახელმწიფო თავზე "

ჯონ რესკინი (ინგლისელი მწერალი).

ყველაზე რთული ადამიანთა ცნობიერების შეცვლაა, მით უფრო ქვეყანაში, სადაც „მართალი" მხოლოდ - ის ერთია... ის ერთი - ხან მშობელია, ხან მასწავლებელი, ხან მოძღვარი, ხან იდეალი, ხან მესია, ხან კერპი და სამწუხაროდ ყველაზე გვიან, აბსოლუტური ჭეშმარიტება, ანუ უფალი! სად ვარ მე, ვინ ვარ მე, რას ნიშნავს რომ ვარ? კითხვები, რომელიც ყველა მოაზროვნე არსებას აწუხებს... პასუხი როგორც წესი ხანგრძლივი ფიქრის და ანალიზის, სხვათა და შენი გამოცდილების, ისტორიის და ფაქტების, შედარების, შეფასებისა და უამრავი აზრის შეპირისპირების შემდეგაც კი დიდხანს ვერ ყალიბდება ადამიანთა მსოფლმხედველობად, ღირებულებად ან ფილოსოფიად... რა უბედურება დაგვემართა, რომ განსხვავებული აზრის გამო ერთმანეთს არ ვინდობთ? თუ ადამიანთა ძირითადი დანიშნულება ჭეშმარიტების ძიებაა, იქნებ სანამ ერთმანეთს „დავერევით", ცოტა ხანს მაინც დავფიქრდეთ...

შეგიმჩნევიათ, რამდენად რთულია ადამიანების გადარწმუნება, როცა რაიმე საკითხზე აზრი უყალიბდებათ? ზოგჯერ, ადამიანები ყურადღებას ამახვილებენ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ მოვლენებს, რომლებიც მათ რწმენებს შეესაბამება. გაიხსენეთ ნაცნობი, რომელთან კამათის დროსაც, თქვენი პოზიციის განსამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტი მოგყავთ, უამრავი კვლევის შედეგი და სხვა დადასტურებული საბუთი. ამის მიუხედავად, როგორც არ უნდა ეცადოთ, ის ჯიუტად არ გეთანხმებათ და რაღაც ახსნას პოულობს თქვენი აზრის საპირისპიროდ. არც კი ცდილობს, თქვენი პოზიცია გაიგოს და მიიღოს. იმის დადასტურება, რისიც გვჯერა არის მოვლენა, რომლის დროსაც ადამიანები ეძებენ და აფასებენ ინფორმაციას ისე, რომ მათი აზრები და არსებული რწმენები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით განმტკიცდეს. ეს არის აზროვნების ხარვეზი, რომელიც ინფორმაციის გადამუშავების დროს ხდება. ჩვენ არაცნობიერად ვეძებთ და ვადასტურებთ ინფორმაციას, რომელიც გვინდა, რომ გამართლდეს და თუნდაც გულში, ჩვენ თავს ვუთხრათ: „აი, ხომ ვამბობდი?!". ამის საპირისპიროდ, მოცემული კონცეფციის ცოდნა გვეხმარება საკუთარ რწმენებსა და მოსაზრებებში ეჭვის შეტანასა და გადამოწმებაში, სიმშვიდეში, რომ სხვებთან უაზრო კამათზე არ დავხარჯოთ დრო და არ გავიფუჭოთ ხასიათი.

რა გვიბიძგებს ასეთი ტიპის აზროვნებისკენ? ამის ორი ძირითადი მიზეზი არსებობს:

***სირთულეების თავიდან აცილება — არ გვინდა, რომ ჩვენი რწმენის დისკრედიტაცია მოხდეს;**

***განმტკიცებისკენ სწრაფვა — გვსიამოვნებს იმის გაგება, რომ ჩვენ მართლები ვიყავით.**

როცა რაიმე სიტუაციას ან რომელიმე ადამიანს ვაფასებთ, როგორც წესი, გვჯერა რომ ლოგიკურად და ობიექტურად ვაზროვნებთ, ვაანალიზებთ ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც ჩვენს ხელთაა.

რა ზიანი მოაქვს ისეთი "ფაქტების" მარტივად დადასტურებას, რისიც ჩვენ გვჯერა?

ამ ტიპის აზროვნება, ხელს გვიშლის საკითხის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებასა და საპირისპირო შეხედულებების დანახვაში. როცა სიტუაციას ობიექტურად ვერ ვაფასებთ, არასწორ გადაწყვეტილებებს ვიღებთ და ხშირად ვცდებით არჩევანში. როცა არ ვეძებთ ჩვენი რწმენის საპირისპირო ფაქტებს და მხოლოდ მათ განმამტკიცებელ დეტალებს ვიმახსოვრებთ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარეშე ვრჩებით. მიკერძოებულ დადასტურებას შეუძლია დააზიანოს სხვადასხვა ტიპის ურთიერთობა, მათ შორის — რომანტიულიც. მაგალითად, როცა ადამიანს სჯერა, რომ მისი მეორე ნახევარი არ არის ერთგული, პარტნიორის ბევრ ქცევას აღიქვამს როგორც საეჭვოს. შეიძლება, სხვებთან ნებისმიერი ტიპის კომუნიკაცია აღიქვას როგორც „დასტური" იმისა, რომ თეორია ტყუილის შესახებ მართალია.

როგორ ამოვიცნოთ, რამდენად სუბიექტურები ვართ აზროვნების პროცესში?

მარტივია, შევამჩნიოთ როდის ავლენს სხვა ადამიანი ტენდენციას სუბიექტურად შეაფასოს ესა თუ ის სიტუაცია, მაგრამ საკუთარ თავზე მეტი დაკვირვება გვჭირდება. არსებობს რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ თქვენც მიკერძოებულად ადასტურებთ რიგ მოვლენებს:

***ეძებთ ინფორმაციას, რომელიც თქვენს არსებულ რწმენას განამტკიცებს;**

***უარყოფთ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც თქვენს რწმენას ეწინააღმდეგება ისე, რომ არ იძიებთ ფაქტებს;**

***არასწორად ინტერპრეტირებთ ან მანიპულირებთ ინფორმაციით, რომ განამტკიცოთ ის, რისიც უკვე გჯერათ;**

***ეძებთ ადამიანებს, რომლებსაც თქვენი მსგავსი რწმენები აქვთ;**

***სხვებს არწმუნებთ, რომ რისიც თქვენ გჯერათ — მართალია;**

***შერჩევითად ისმენთ (ან მხოლოდ იმას იმახსოვრებთ, რისი დამახსოვრებაც გინდათ);**

***გჯერათ, რომ თქვენი საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანებს აქვთ სხვა, უფრო ღრმა მოტივები.**

როგორ გადავეჩვიოთ ჩვენი წინასწარგანწყობების სუბიექტურად დადასტურებას?

ძირითადად, ასეთი ტიპის აზროვნება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ადამიანი იწყებს ინფორმაციის შეგროვებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ის ჩნდება არაცნობიერადაც, როცა ვერც კი ვფიქრობთ, როგორი გავლენა აქვს ჩვენს გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, მიკერძოებული დადასტურებისთვის თავის არიდების პირველი ნაბიჯი არის იმის გაცნობიერება, რომ ის არსებობს და ეს არის პრობლემა. საკუთარ თავზე მუშაობით, შეგიძლიათ ისწავლოთ ასეთი ტიპის აზროვნების ამოცნობა და მიხვდეთ, რა გავლენა აქვს მას თქვენს ფიქრებზე. როცა რაიმე ინფორმაციას წააწყდებით, ეცადეთ გაარკვიოთ:

რა არის ამ ინფორმაციაში ისეთი, რაც მის ობიექტურობას ადასტურებს?

ჩემი წყარო სანდოა?

რამდენი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას ვეყრდნობი?

ზოგადად, როდესაც ჩემს აზრს ვინმე ან რაიმე ეწინააღმდეგება, ამას შეტევად აღვიქვამ?

დასკვნა სიტუაციის ნაწყვეტით გამომაქვს თუ მთლიანი შემთხვევის გაანალიზებით?

ეს ინფორმაცია თავს უფრო ძლიერად მაგრძნობინებს თუ რამე სირთულეს მიქმნის?

არიან თუ არა ჩემ ირგვლივ ადამიანები, ვისი აზრიც რადიკალურად განსხვავდება?

როგორ ემოციურ მდგომარეობაში ვარ, როცა ამა თუ იმ ინფორმაციას „ვადასტურებ"? ხომ არ ვარ მოწყენილი ან დეპრესიულ მდგომარეობაში? ან რომელიმე სხვა მძაფრ ემოციას ხომ არ განვიცდი?

შესაძლებელია რომ ვცდებოდე? თუ კი, რა შეიძლება გამოიწვიოს ჩემმა შეცდომამ?

მთავარია, ვაღიაროთ მიკერძოებული დადასტურების არსებობა. შემდეგ კი, ვიმუშაოთ ჩვენი ღრმა რწმენების საპირისპირო აზრების აღმოჩენაზე და ამ მიმართულებით ცნობისმოყვარეობის გავარჯიშებაზე. შეგნებულად მოიძიეთ თქვენი შეხედულების საწინააღმდეგო ინფორმაცია იმისთვის, რომ თქვენს თავს „დაუმტკიცოთ" რომ ცდებით. ამ დროს, ჩვენ გამოვდივართ იმ ვაკუუმიდან, რომელშიც ჩვენმა განწყობებმა მოგვაქცია. შესაძლებელია, ასეთი კრიტიკული ადამიანის ფუნქცია ახლობელ ადამიანს დააკისროთ და სთხოვოთ, გითხრათ, როდესაც მიკერძოებულად იფიქრებთ.

მნიშვნელოვანია, რეალურად მოვუსმინოთ, რას და რატომ ამბობენ სხვები. ეს ყველაფერი, საშუალებას მოგვცემს, სხვადასხვა საკითხს სხვების პერსპექტივიდან შევხედოთ და მივიღოთ მაქსიმალურად ობიექტური გადაწყვეტილებები. ვიყოთ უფრო ემპათიურები, გავიუმჯობესოთ ადამიანებთან ურთიერთობები და გავხდეთ ნაკლებად კონფლიქტურები.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს და აზრთა სხვაობას არ უნდა გადავაყოლოთ ურთიერთოგეგი, მეგობროგა, მეზოგლოგა,თანამშრომლოგა და რაც მთავარია, ქვეყნის ბედი და მომავალი.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

„დღეს თქვენ ყველანი უკრაინელები ხართ"

„თბილისი, პარიზი, ლიონი, ბრატისლავა, ფრანკფურტი, ვილნიუსი, პრაღა თქვენ დღეს ყველანი უკრაინელები ხართ", - ასე მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თბილისსა და რამდენიმე ევროპულ ქალაქში უკრაინის მხარდასაჭერად შეკრებილებს.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამშობლოსთვის დაღუპულ უკრაინელებს.

უკრაინის პრეზიდენტმა ევროპელ ხალხს მოქმედებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, თუკი უკრაინა გაიმარჯვებს ეს იქნება დემოკრატიის გამარჯვება, თავისუფლების გამარჯვება, სინათლის სიბნელეზე გამარჯვება.

„მინდა მოგიწოდოთ, არ გაჩუმდეთ. მინდა გამოხვიდეთ ქუჩაში და მხარი დაუჭიროთ უკრაინას, მხარი დაუჭიროთ ჩვენს ძალისხმევას და ბრძოლას. იმიტომ რომ, თუ უკრაინა არ იდგება ფეხზე, არც ევროპა იდგება. თუ ჩვენ დავეცემით, თქვენც დაეცემით. ამიტომ გთხოვთ ნუ გაჩუმდებით. ამაზე თვალი არ დახუჭოთ. გამოდით უკრაინის მხარდასაჭერად. და თუ გავიმარჯვებთ, დარწმუნებული ვარ გავიმარჯვებთ, ეს იქნება მთელი დემოკრატიული სამყაროს გამარჯვება, ეს იქნება ჩვენი თავისუფლების გამარჯვება, სინათლის გამარჯვება სიბნელეზე, თავისუფლების გამარჯვება მონობაზე. და თუ გავიმარჯვებთ. ჩვენ ისეთივე აყვავებულები ვიქნებით, როგორც ევროპა და ევროპა უფრო აყვავდება ამ ბრწყინვალე გამარჯვებით. დიდება უკრაინას.

თბილისი, პარიზი, ლიონი, ბრატისლავა, ფრანკფურტი, ვილნიუსი, პრაღა თქვენ დღეს ყველანი უკრაინელები ხართ", - განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რამდენიმე ევროპულ ქალაქს, მათ შორის თბილისს ტელეხიდით მიმართა. უკრაინის პრეიზდენტის გამოჩენას, რუსთაველის გამზირზე დამონტაჟებულ მონიტორზე შეკრებილების ტაში და შეძახილები: "დიდება უკრაინას" მოჰყვა.

15 წლიანი პატიმრობა უკრაინის ომის გაშუქებისთვის – რუსეთში დამოუკიდებელი მედია იხურება

რუსეთის დუმამ ერთხმად მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ომის დასრულების და ჯარების გაყვანის მოთხოვნა პატიმრობით დაისჯება. 5 წლამდე პატიმრობით დაისჯება მონოდებები, „რომლებიც ეწინააღმდეგება რუსული ჯარების გამოყენებას რუსეთის ინტერესების დასაცავად". ყალბი ინფორმაციის გავრცელება შეიძლება დაისაჯოს 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, თუ ამ ქმედებებს სერიოზული შედეგები მოჰყვება.

რუსეთის მედიის მარეგულირებელი აფრთხილებს დამოუკიდებელ საინფორმაციო გამოშვებებს, არ გაავრცელონ ნეგატიური ინფორმაცია უკრაინის ომის, მათ შორის ჯარისკაცების დაღუპვის შესახებ.

მარეგულირებელმა გამაფრთხილებელი წერილი სულ მცირე 10 მედიასაშუალებას გაუგზავნა, მათ შორის Novaya Gazeta-ს, რომელსაც მართავს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი დიმიტრი მურატოვი.

წერილის თანახმად, ომის გაშუქებისას მედიამ მხოლოდ სამთავრობო წყაროები უნდა გამოიყენოს. მედიას განუცხადეს, რომ რუსეთის ქმედებები უკრაინაში არ უნდა შეფასდეს, როგორც „შეტევა, შეჭრა ან ომის გამოცხადება".

რუსეთის საკომუნიკაციო ორგანოებს შეზღუდული აქვთ წვდომა BBC-ის რუსულ სერვისზე. ასევე დაბლოკილია ორი სხვა საინფორმაციო გამოცემა - „მედუზა" და „რადიო თავისუფლება".

Novaya Gazeta-ს მთავარმა რედაქტორმა მურატოვმა პროტესტის ნიშნად განაცხადა, რომ არასოდეს აღიარებს „უკრაინას მტრად და უკრაინულ ენას მტრის ენად". Novaya Gazeta-ს ჟურნალისტები არიან რუსული მედიის იმ 200 თანამშრომელს შორის, რომლებიც ხელს აწერენ ღია წერილს ომის წინააღმდეგ.

რუსეთის ერთ-ერთმა ბოლო დამოუკიდებელმა საინფორმაციო საშუალება TV Rain-მა გამოაცხადა, რომ ოპერაციებს განუსაზღვრელი ვადით შეწყვეტს მას შემდეგ, რაც ზეწოლას განიცდიდა უკრაინის ომის გაშუქების გამო.

რუსეთის სატელეკომუნიკაციო მარეგულირებელმა უკვე დაბლოკა არხი მიმდინარე კვირის დასაწყისში და დაადანაშაულა „ექსტრემიზმის წაქეზებაში, რუსეთის მოქალაქეების შეურაცხყოფაში, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების მასობრივ დარღვევაში და საპროტესტო აქციების წახალისებაში".

„დღეს მედიასაშუალებამ ბოლო გადაცემა ონლაინ რეჟიმში გაუშვა. „არა ომს", - თქვა ნატალია სინდეევამ, არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, როდესაც თანამშრომლები სტუდიიდან გავიდნენ.

ამის შემდეგ არხმა ჩაიკოვსკის „გედების ტბის" ჩვენება დაიწყო. ბალეტი გამოიყენებოდა საბჭოთა ეპოქის რადიო და სატელევიზიო გადაცემებში 1980-იან წლებში ლიდერების გარდაცვალების აღსანიშნავად, მოგვიანებით კი 1991 წლის გადატრიალების დროს, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დასასრულს.

ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კოვიდინფექციამ სამეზობლოს გამოაკლო კიდევ ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი

სიმონ ჯამასპიშვილი

და სამძიმარს უცხადებს დედას - ჟუჟუნას, მეუღლეს - ხათუნას, შვილებს - ლილეს და ანას, დებს - მარინა და ნაირა ჯამასპიშვილების ოჯახებს.

ნონა მაძღარაშვილი და გულო პაპაჩაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მაია ტოკლიკიშვილს მამის

შოთა ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო.

სოლიდარობა უკრაინელ თანატოლებს!

დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებიც შეუერთდნენ უკრაინის სოლიდარობის აქციას. ბავშვებმა თავიანთ პედაგოგთან, თამარ აბულაძესთან ერთად მოხატეს პლაკატები, თავიანთი ხელით დაამზადეს უკრაინის დროშები და შეიკრიბნენ აქციაზე, რომლის მთავარი სლოგანი იყო: „არა ომს!“, „სოლიდარობა უკრაინელ ბავშვებს!“

პედაგოგმა თამარ აბულაძემ აღსაზრდელებს მიაწოდა ინფორმაცია რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ. აქციის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაგმეს ომი და აღნიშნეს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში უდანაშაულო ადამიანები და ბავშვები არ უნდა კვდებოდნენ!

უკრაინელი ხალხის დასახმარებლად

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა. აქციაში აქტიურად ჩაერთნენ კერძო პირები და ორგანიზაციები. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გასული კვირის მანძილზე, 18 094 ლარის პროდუქტი და უამრავი ტანსაცმელი შეგროვდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი უშუალოდაა ჩართული ამ პროცესში. 4 მარტს ის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში მივიდა და მოინახულა ტვირთის განაწილების პროცესი. მან მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროს მოსახლეობას საქველმოქმედო აქციაში ჩართულობისათვის.

შემოწირულობის მიღება ორშაბათიდან კვლავ განახლდება. მსურველებმა ტვირთი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრში უნდა მიიტანონ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ტანსაცმლის პარტია საკმაოდ დიდია, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ მის ნაცვლად საკვებ პროდუქტს მიიტანენ.

„პარტნიორი 2017“: ხორბლის ევროპიდან და ყაზახეთიდან შემოტანა პრობლემა არ იქნება

„სახელმწიფოში ყოველთვის უნდა იყოს ხორბლის ორი თვის მარაგი მაინც“, - **განაცხადა „საქმიან დილაში“ სტუმრობისას „პარტნიორი 2017“-ის მმართველმა პარტნიორმა** ბესიკ ჯიქიამ.

მისი თქმით, რუსეთის მხრიდან მხოლოდ ხორბლის ექსპორტზე დაწესებულმა „არაკლასიკურმა“ საბაჟო ტარიფმა, ფქვილის ექსპორტი წაახალისა, ხოლო ხორბლის - შეამცირა.

„რუსეთის მხრიდან საბაჟო ტარიფი ტონა ხორბალზე 97 დოლარია, თუმცა ეს მოსაკრებელი ფქვილზე არ ვრცელდება. შესაბამისად რუსეთიდან იმპორტირებული ფქვილის ფასი გაცილებით იაფია, ხოლო ხორბლის მარაგების შექმნა ვერ ხერხდება“, - განაცხადა ბესიკ ჯიქიამ.

მისივე განცხადებით, ჯერჯერობით, რუსეთიდან ხორბლის შემოტანა ხორციელდება, თუმცა ბაზრის დაკეტვის შემთხვევაში, ევროპიდან და ყაზახეთიდან იმპორტის განხორციელებაც არ იქნება პრობლემა.

მადლიერება!

მკითხველმა კარგად იცის, თუ რამდენი სამადლობელი წერილი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. თითოეული ამ მადლიერების ადრესატი „დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ და მისი თანამშრომლები გახლდათ. მადლიერ გამოჯანმრთელებულ პაციენტთა რიცხვს კიდევ ერთი პიროვნება, ქვემო ქედელი, 70 წლის სუმელჯი წიკლაური შეუერთდა:

„ცოტა ხნის წინ, გადავიტანე კოვიდ-ინფექცია. თავიდან პროცესი მსუბუქად მიმდინარეობდა. უნდა ითქვს, რომ გამოვჯანმრთელდი კიდეც, ფაქტობრივად, აღარაფერი მაწუხებდა. ამ ფონზე ყურადღება მოვადუნე, კვლავ ჩავები ჩემი მეურნეობის ყოველდღიურ ჯაფაში, რამაც ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაართულა. ამ ასაკამდე ისე მოვედი, ნემსიც კი არ გამიკეთებია, გრიპიც კი არასდროს მქონია. მუშაობის პროცესში უბრალო გაციებამ კი სავალალო მდგომარეობამდე მიმიყვანა.

41 გრადუსი სიცხით გადამიყვანეს საგარეჯოს საავადმყოფოში,სადაც გამოკვლევები უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შესაბამისი აპარატურა არ მუშაობდა. მაშინ ჩემმა შვილებმა მითხრეს, რომ როგორც უმრავლესობა აღნიშნავდა, საუკეთესო მდგომარეობა და მედპერსონალი დედოფლისწყაროს საავადმყოფოში იყო. ასე აღმოვჩნდი იმ ადგილზე და იმ ადამიანებთან, რომლებმაც, პირდაპირ ვიტყვი, ფაქტობრივად, სიკვდილს გამომგლიჯეს ხელიდან.

18 დღე გავატარე რეანიმაციულ განყოფილებაში. ვერ წარმოიდგენთ იქ ხალხი როგორ იბრძვის სიცოცხლისთვის. სიცოცხლისთვის ბრძოლის ძალასა და რწმენას კი იქ მომუშავე დაუღალავი და მუხლჩაუხრელი მედიკოსები გვაძლევდნენ. მაოცებდა მათი გულწრფელი და ადამიანური მიდგომა თითოეული პაციენტისადმი, რომელთა მდგომარეობა ხშირად უიმედოც კი იყო. ვფიქრობ, იმაშიც გამიმართლა, რომ ვაქცინირებული ვიყავი და ვაქცინამაც დამიცვა ფატალური შედეგისგან.

როგორ შეიძლება, რომ ამ ყველაფრის გადატანის შემდეგ, არ იყო ამ ხალხის მადლიერი ?! მინდა „დედოფლისწყაროს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ თანამშრომლებს გულწრფელად გადავუხადო მადლობა, რადგან ეს საავადმყოფო სამართლიანად აღმოჩნდა რეგიონში ერთადერთი, რომელიც რეალურად ზრუნავს საკუთარ პაციენტებზე. ღმერთმა გამძლეობა, ჯანმრთელობა, ასეთივე შემართება და სიმტკიცე მისცეს მათ, როგორიც დღეს აქვთ.“

პატივისცემით,
სუმელჯ წიკლაური

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 07.03		სამშაბათი 08.03		ოთხშაბათი 09.03		ხუთშაბათი 10.03		პარასკევი 11.03		შაბათი 12.03		კვირა 13.03	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
4°	–3 °	10°	0 °	10 °	1°	10 °	1°	10°	-1 °	7 °	-2 °	5 °	-2°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.